

# ყარყატების ეკოლოგია და კონსერვაცია საქართველოში

## დაჩი შოშიტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე*

*ბუნებათსარგებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობა (MSc), სატყეო მეცნიერება) სამაგისტრო პროგრამა:

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

## სარჩევი

განაცხადი.....	3
აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	5
თეთრი ყარყატი ( <i>Ciconia ciconia</i> ).....	7
შავი ყარყატი ( <i>Ciconia nigra</i> ).....	11
მეთოდები.....	15
შედეგები.....	22
დისკუსია.....	34
სამადლობელი.....	37
გამოყენებული ლიტერატურა.....	38

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დ.შოშიტაშვილი

17.01.2021

## აბსტრაქტი

თეთრი ყარყატი (*Ciconia ciconia*) და შავი ყარყატი (*Ciconia nigra*) IUCN-ის მიერ კლასიფიცირებულია, როგორც ნაკლებად მოწყვლადი (LC). საქართველოში კი ორივე მათგანი წითელი ნუსხით დაცული სახეობაა 2006 (VU) D1 მცირე პოპულაცია.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია:

- საქართველოს ტერიტორიაზე თეთრი და შავი ყარყატის, როგორც ისტორიული, ასევე დღევანდელი გავრცელების შესწავლა.
- მათი მოზუდარი წყვილების შეფასება და წარსულში მათ რაოდენობასთან შედარება.
- საქართველოს წითელი ნუსხისათვის ორივე სახეობის განახლებული სტატუსის მინიჭება

დასახული მიზნის მისაღწევად, სამი წლის განმავლობაში ვახორციელებდი სავსე სამუშაოებს კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში და ვაგროვებდი მონაცემებს გამრავლების პერიოდში მათი გავრცელების შესახებ. ამასთანავე, ვაგროვებდი ყველა ხელმისაწვდომ ისტორიულ წყაროს, რომელშიც ყარყატების გავრცელების შესახებ იყო რაიმე ინფორმაცია.

შედეგად, საქართველოში დავთვალე შავი ყარყატის 17 მოზუდარი წყვილი და თეთრი ყარყატის 105 მოზუდარი წყვილი.